Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობები (გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია)

თამარი ბიბიჩაძე
დაჩი ძირკვაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail:tamari.bibichadze373@sps.tsu.ge
E-mail:dachi.dzirkvadze268@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო დღის წესრიგის ცვლილება და მზარდი დაძაბულობა აღმოსავლეთ ევროპაში სულ უფრო და უფრო აქტუალურს ხდის უკრაინის საკითხს. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ჩართული და პარტნიორი სახელმწიფოების დამოკიდებულებები და მათ შორის დადებული ხელშეკრულებები საკმაოდ საინტერესო შედეგების მატრიცას იძლევა სამომავლო პერსპექტივების გასაგებად. სწორედ ამიტომ, ნაშრომის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს უკრაინისა და ჩინეთის გეოეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებები. ერთი მხრივ, საინტერესოა ამ თემის შესწავლა, რამეთუ უკრაინა და ჩინეთი ორი რადიკალურად განსხვავებული ქვეყანაა, როგორც სახელმწიფო წყობით და პოლიტიკური ურთიერთობებით სხვა ქვეყნებთან, ასევე განვითარების დონით, მოსახლეობის რაოდენობით, გეოგრაფიული მდებარეობით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და ა.შ. მეორე მხრივ, საყოველთაოდ ცნობილია მზარდი ეკონომიკის მქონე ჩინეთის მისწრაფებები ჰეგემონობისკენ და მისი სიმპატიები რუსეთის ფედერაციის მიმართ. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე კი მნიშვნელოვან სიგნალებს იძლევა ჩინეთის დამოკიდებულება უკრაინასთან დაკავშირებით, წარსული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები.

ნაშრომის მიზანია, განისაზღვროს უკრაინისა და ჩინეთის გეოეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გეოეკონომიკური სტრატეგიები ქვეყნის სამომავლო ხედვების ფორმირებისთვის. ნაშრომის ამოცანა არის მოვიძიოთ ზოგადი ინფორმაციები საკვლევ ქვეყნებზე, გავაანალიზოთ თითოეული სტატისტიკური მონაცემი და შევისწავლოთ ამ ორ ქვეყანას შორის დადებული მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ემპირიულად გავაანალიზოთ უკრაინისა და ჩინეთის გეოეკონომიკური ურთიერთობები, სამომავლო პერსპექტივები და ე.წ. სარგებლიანობის შედეგების მატრიცა.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო სისტემის თეორია, ქამარი და გზის ინიციატივა, "მესამე საგარეო პოლიტიკის ვექტორი", სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა

შესავალი

საერთაშორისო დღისწესრიგის ცვლილება გვაჩვენებს თუ რაოდენ მნიშნველოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, რაც ქვეყნების განვითარების საწინდარია. ამასთან გეოპოლიტიკის ეკონომიზაციისკენ მიმართულმა პოლიტიკამ ცხადჰყო ეკონომიკის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირებისთვის. იმანუელ ვალერშტაინი,რომლის ნაშრომებიც წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობისა და დინამიკის, მსოფლიოში არათანაბარი განვითარების არსებობის შეცნობის მცდელობას, ხაზს უსვამს ეკონომიკური ფაქტორების გავლენას პოლიტიკურ ცვლადებზე. (კვინიკაძე,2017) შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს მეტწილად გეოეკონომიკური სტრატეგიები წარმართავენ და თუ გარკვეულ გამონაკლისებს არ გავითვალისწინებთ გეოპოლიტიკა დღესდღეობით, თანდათანობით უკანა პლანზე ინაცვლებს. გამონაკლისებში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წინა საუკუნის

პოლიტიკური მანევრირების-ომის გამოყენება იგულისხმება. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, განსაკუთრებით საინტერესო ხდება ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობები. ამის მრავალი მიზეზი არსებობს,მათ შორის ალბათ ყველაზე მნიშნველოვანია ამ ორი ქვეყნის გეოგრაფიული, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური და განვითარების დონის სხვადასხვა ვექტორები.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა, თუ რა გავლენას ახდენს ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობები ორი ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე. საკვლევი თემის აქტუალურობას ხაზს უსვამს თანამედროვე საერთაშორისო მოვლენები, რომელშიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ჩინეთის ხედვები უკრაინის მიმართ. რამეთუ ომის ფონზე, ჩინეთის მიმხრობა რუსეთისკენ, მესამე მასობრივი კონფლიქტის გამომწვევი შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე, ჩინეთ-უკრაინის დადებითი ურთიერთობები, თანამშრომლობა და დიპლომატიური კავშირების შემდგომი კიდევ უფრო გაღრმავება მთლიანად დემოკრატიული მსოფლიოს ინტერესის საგანი უნდა იყოს. თუმცა აქაც იჩენს თავს რიგი საყურადღებო პრობლემები, მათ შორის გავლენის სფეროების გადანაწილება და მზარდი ეკონომიკის მქონე ჩინეთის მისწრაფებები, შეეცილოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰეგემონობაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩინეთ-უკრაინის ურთიერთობების საინტერესო შედეგების მატრიცას მოგვცემს.

ლიტერატურის მიმოხილვა

უკრაინისა და ჩინეთის ურთიერთობები სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომ, საინტერესოა მათი გეოპოლიტიკური ურთიერთობების ეკონომიზაციისკენ მიმართული სტრატეგიის ემპირიული გაანალიზება. განსხვავებების და კონფლიქტური თუ პრობლემური საკითხების კარგად დასანახად, განვიხილავთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებს ჩინეთ-უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ და გამოვყობთ ძირითად საკითხებს, რომლითაც შესაძლებლობა მოგვეცემა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები.

უკრაინა-ჩინეთს შორის ყველაზე ადრეული კონტაქტი თარიღდება 1715 წლით, როდესაც ჩინეთში პირველი რუსული მართლმადიდებლური მისიით უკრაინელი არქიმანდრიტი ილარიონი (ლეუაისკი) გაემგზავრა. ხოლო პირველი ჩინელი, ვინც უკრაინას ეწვია დიპლომატიური მისიით იყო ლი ჰონჟანგი, რომელმაც 1896 წელს ოდესა გადალახა,რათა ჩასულიყო იმპერიის დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში (Jun,1995). შემდგომი შეხება ჩინეთსა და უკრაინას შორის 1949 წლით თარიღდება, როდესაც ჩინეთმა აღიარა უკრაინა, როგორც საბჭოთა ნაწილი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლას მოჰყვა ჩინეთის მიერ უკრაინის ცნობა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, 1991 წლის 27 დეკემბერს. ჩინეთი არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წლის 4 იანვრიდან დაიწყო. ორმხრივი ურთერთობები უკრაინასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის წარმოადგენს სტრატეგიულ პარტნიორობას,რომელიც დამყარდა 2011 წელს. აღსანიშნავია,რომ ჩინეთი მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. უკრაინა კი მკაცრად მიჰყვება ,,ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას. ბოლო წლების ტრანსფორმაციისა და რეფორმების შედეგად ორივე მხარე

ორმხრივი ურთიერთობების განვითარების ახალ დონეზე გადასვლას გეგმავს. ამასთან ორ ქვეყანას შორის მეგობრული, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა სწრაფად განვითარდა სხვადასხვა სფეროში. (Embassy of Ukraine in the People's Repablic of Chine, 2022). ჩინეთს აქვს საელჩო კიევში და გენერალური საკონსულო ოდესაში. უკრაინას კი საელჩო პეკინში და გენერალური საკონსულო შანხაიში. უკრაინაში ჩინეთის საელჩოს მონაცემებით, 6000-ზე მეტი ჩინეთის მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს. 50 000-დან 100 000-მდე უკრაინის მოქალაქე ცხოვრობს ჩინეთში. უკრაინისა და ჩინეთის ურთიერთობები 1991 წლიდან მოიცავს ურთიერთობების რამდენიმე ეტაპს. ესენია თანამშრომლობის გააქტიურება, დიპლომატიური ურთიერთობების გაციება და გაყინვა. 1992 წლიდან 2004 წლამდე ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურება, რის შედეგადაც განხორციელდა სავაჭრო, ეკონომიკური, სამხედრო-ტექნიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული თანამშრომლობა და ორი გაცვლილი სახელმწიფო ვიზიტი (Pitta, 2022). ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში (2005-2010) ურთიერთობები გაიყინა, რამეთუ უკრაინამ ნება დართო ტაივანის წარმომადგენელს დასწრებოდა საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის შეხვედრას. 2010 წელს, პრეზიდენტად ვიქტორ იანუკოვიჩის არჩევით, ჩინეთმა აღადგინა პოლიტიკური კონტაქტი უკრაინასთან, რადგან ორმა ქვეყანამ 2011 წელს ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებისა და განვითარების შესახებ. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2014 წელს უკრაინაში მეიდანის რევოლუცია მოხდა, ჩინეთი უკრაინასთან მხოლოდ ოფიციალურ კონტაქტს ინარჩუნებდა, რაც გრძელდებოდა 2022 წლამდე, მანამ სანამ რუსეთი არ შეიჭრა უკრაინაში. როცა ჩინეთთან მიმართებით რუსეთს ვახსენებთ და მითუმეტეს უკრაინის ფონზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩინეთი არ ცნობს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და შეზღუდა კიდეც ურთიერთობები საოკუპაციო ხელისუფლებასთან (Ukrinform, 2021). ნიკოლსისა და პამუკის თქმით, თანამედროვე ურთიერთობების ხაზგასასმელად საკმარისია ვახსენოთ,რომ ჩინეთმა დაუწესა გარკვეული სანქციები რუსეთს, სწორედ უკრაინაში შეჭრის გამო (Nichols,Pamuk, 2022). ამასთან, 2022 წლის 17 მარტს, ჩინეთის ელჩმა უკრაინაში-ფან ქსიანრონგმა განაცხადა, რომ ჩინეთი მხარს დაუჭერს უკრაინას როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად (Ukrinform,2022).

თუ ჩავუღმავდებით მათ შორის ურთიერთობებს დაწვრილებით უნდა მიმოვიხილოთ უახლესი ისტორიის გარკვეული კონტურები. ჩინეთ-უკრაინის ურთიერთობები განისაზღვრება 2014 წლის მოვლენებით,რომლებიცაა ერთის მხრივ, უკრაინის ღირსების რევოლუცია და მეორე მხრივ, რუსეთის შეჭრა უკრაინაში. ამ მოვლენების შედეგები კვლავ ბლოკავს მაღალი დონის პოლიტიკურ დიალოგს კიევსა და პეკინს შორის. თუმცა, ჩინეთ-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობა სწრაფად ფართოვდება და ვაჭრობა მისი მთავარი მამოძრავებელი საშუალებაა. 2019 წელს ჩინეთი გახდა უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი უკრაინული ექსპორტის სწრაფი ზრდის გამო.იაკუბ აიკობოვსკი და კრიშტოფ ნიციპორი საკუთარ სტატიაში „დიდი პოლიტიკის რადარის ქვეშ: ჩინეთსა და უკრაინას შორის თანამშრომლობა" წერენ, თავად პეკინი სკეპტიკურად უყურებს უკრაინის 2014 წლის შემდგომ პოლიტიკურ გარდაქმნას და მის შემობრუნებას დასავლეთისკენ, მაგრამ დაინტერესებულია უკრაინის სამხედრო ტექნოლოგიებით, ნედლეულით და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ხელისუფლებაში მოვიდა, უკრაინა აშკარად ეძებს ახალ

გზებს ჩინეთთან ურთიერთობებში, ეძებს საგარეო პოლიტიკური სივრცის გაფართოებას დასავლეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკურ თამაშში. თუმცა, ის არსებითად გარიყული რჩება ფინანსური და საინვესტიციო თანამშრომლობისგან „ქამარი და გზის“ ინიციატივის ფარგლებში. კიევსა და პეკინს შორის ურთიერთობების ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაღრმავება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარებას. თუმცა, არსებულ დინამიურ ეკონომიკურ თანამშრომლობას დიდი ძალების პოლიტიკის „რადარის ქვეშ“ ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელობა (Jakóbowski,Nieczypor, 2021).

კიევის ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მნიშვნელოვნად არის განპირობებული უკრაინის გეოპოლიტიკური პოზიციით დასავლეთსა და რუსეთს შორის. ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს (2010–2014) საგარეო პოლიტიკის მანევრირების ადგილის შევიწროება, რაც გამოწვეული იყო რუსეთის ზეწოლით ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციისთვის, განაპირობა ის, რომ უკრაინა ახორციელებდა ე.წ. „მესამე საგარეო პოლიტიკის ვექტორს“, რომელიც ორიენტირებული იყო ჩინეთზე (Matuszak, 2010). ყოველივე ზემოთაღნიშნულმა გამოიწვია იანუკოვიჩის დროს ჩინეთ-უკრაინის ორმხრივი ურთიერთობების სწრაფი გამყარება, რაც ამ უკანასკნელმა ძირითადად გამოიყენა დამატებითი ბერკეტების მოსაპოვებლად რუსეთთან და დასავლეთთან მოლაპარაკებების დროს. თუმცა, შემდგომი თანამშრომლობა შეაჩერა ღირსების რევოლუციამ, იანუკოვიჩის დაცემამ და შემდგომში ხელისუფლების შეცვლამ კიევში. რუსეთის აგრესიამ, უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხემ გააძლიერა უკრაინის ევროატლანტიკური კურსი, მიმართა მისი პოლიტიკა დასავლურ ინტეგრაციულ სტრუქტურებში (ევროკავშირი და ნატო) გაწევრიანებისკენ და ჩამოყალიბებისკენ. ასევე მას სურდა სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავება შეერთებულ შტატებთან. შედეგად, კიევსა და პეკინს შორის ურთიერთობები პეტრო პოროშენკოს მმართველობის პერიოდში სტაგნაციას განიცდიდა.

ავტორთა აზრით, ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, როგორებიცაა: ჩინეთის შეზღუდული ამბიციები, ამერიკული ჩარევა და რუსეთის ფაქტორი.

ჩინეთის რეაქცია რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრაზე ნათლად აჩვენებს, რომ პეკინს არ აქვს ამბიცია წამყვანი როლი ითამაშოს აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ ბრძოლაში. თუმცა, იგი კვლავაც თანაუგრძნობს რუსეთის ქმედებებს და აღიარებს მის სავარაუდო გავლენის სფეროს რეგიონში. ოფიციალურად, ჩინეთი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს ნეიტრალური დარჩა და არ მონაწილეობდა მისი მოგვარების მოლაპარაკებებში. ყირიმის ანექსიის საპასუხოდ პეკინმა გამოხატა ზოგადი მხარდაჭერა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მიმართ, მაგრამ თავი შეიკავა გაეროს უშიშროების საბჭოს კენჭისყრაზე ანექსიის უკანონობის შესახებ რეზოლუციის მიღებაზე. ჩინეთის ორაზროვანი პოზიცია მომდინარეობს მისი ზოგადი ოპოზიციიდან ყველა სეპარატისტულ მოძრაობასთან (კავშირშია საშინაო ფაქტორებთან, როგორიცაა ტიბეტი და სინძიანი), ამავე დროს იზიარებს მოსკოვის შეხედულებას უკრაინაში ღირსების რევოლუციის წარმოშობის შესახებ. პეკინი უკრაინას აღიქვამს როგორც სარისკო ადგილს კაპიტალის ინვესტიციისთვის, არა მხოლოდ პოლიტიკური პირობების გამო, არამედ წარსული ცუდი

გამოცდილების გამო. 2013 წელს პრეზიდენტ იანუკოვიჩთან დადებული ხელშეკრულებების უმეტესობა არ განხორციელებულა, რის გამოც ზოგიერთ ჩინურ სუბიექტს ნახევრად დასრულებული პროექტები დარჩა. თუმცა, იმ პერიოდის ჩინეთის გეგმების მასშტაბები მიუთითებს იმაზე, რომ პეკინმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სარტყელი და გზის ინიციატივაში, მათ შორის ევრაზიული ტრანსპორტის განვითარებაში.

აგრეთვე ავტორები მკაფიოდ უსვამენ ხაზს ამერიკის გავლენას ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკურ ურთიერთობებზე და მაგალითად მოჰყავთ ჩინეთსა და უკრაინას შორის ტექნოლოგიური თანამშრომლობა, რომელიც ფაქტობრივად ჩაშალა აშშ-ის წინააღმდეგობამ Motor Sich-ის Skyrizon Aircraft-ისთვის მიყიდვის თაობაზე. შეერთებული შტატები უკრაინული კომპანიის პოტენციურ ხელში ჩაგდებას ხედავს, როგორც საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის და აიძულა კიევის მთავრობა უარი ეთქვა ტრანზაქციაზე (2014 წლამდე Motor Sich-ის საექსპორტო პროდუქციის 75% მიეწოდებოდა რუსეთის ბაზარს). ჩინური კაპიტალი განიხილებოდა, როგორც საუკეთესო შანსი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ, 2021 წლის იანვრის ბოლოს ჩინურ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა არ განიხილავს ჩინეთს, როგორც „გეოპოლიტიკურ საფრთხეს“, მიუხედავად ტექნოლოგიური თანამშრომლობის დაბლოკვისა, თუმცა აღნიშნულ ქეისში ნათლად ვხედავთ აშშ-ს ჩარევის ნეგატიურ ეფექტს ჩინეთ-უკრაინის ტექნოლოგიურ თანამშრომლობაში.

რაც შეეხება რუსულ ფაქტორს, ჩინეთ-უკრაინის თანამშრომლობის გაუარესება 2014 წლის შემდეგ დაკავშირებულია რუსეთის ქმედებებთან. პეკინის პროპაგანდა აშკარად უჭერდა მხარს მოსკოვს უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის დროს, რამაც გააცივა მისი ურთიერთობა კიევთან. უკრაინელი ლიდერების არყოფნა პეკინის ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებზე, როგორიცაა სარტყელი და გზის ფორუმები, ასევე რუსულ ფაქტორს უნდა უკავშირდებოდეს. ვლადიმერ პუტინი იყო ამ მოვლენების მონაწილე, სადაც პეკინმა არაერთხელ მოიხსენია რუსეთი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი. კიევმა ასევე არ მიიღო მონაწილეობა პეკინის მიერ შექმნილ უამრავ სექტორულ ინიციატივაში, მათ შორის თანამშრომლობის ჩარჩოში, რომელიც შეიქმნა ეროვნული სარკინიგზო გადამზიდავების მიერ, როგორც ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დერეფნების განვითარების ნაწილი (ე.წ. ექვსი რკინიგზის თანამშრომლობა), რომელშიც რუსეთი მთავარ როლს ასრულებდა. პოლიტიკური ზომების გარდა, მოსკოვმა ასევე წამოიწყო სავაჭრო ომი კიევთან 2014 წლის შემდეგ. ამან უკრაინას ჩამოართვა წვდომა პოსტსაბჭოთა სივრცეში მის ბევრ ბაზარზე, რამაც გამოიწვია უკრაინული ექსპორტის კოლაფსი (Matuszak, 2018) და მიწაზე შეზღუდვების შემოღება. 2016 წლის იანვარში, უკრაინული საქონლის ტრანზიტი რუსეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა, რადგან მნიშვნელოვნად შეამცირა ვაჭრობა აზიის ქვეყნებთან. რამდენიმე წლის განმავლობაში ამან გააჩერა უკრაინაში ჩინეთ-ევროკავშირის სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელშიც 2014 წლამდე ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა,როგორც სატრანზიტო ქვეყანა.

საბოლოო ჯამში, ავტორები გვეუბნებიან, რომ ჩინეთსა და უკრაინას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, ისევე როგორც ორმხრივი დიპლომატიური კონტაქტები, აშკარად დაჩქარდა ზელენსკის პრეზიდენტობის დროს. კიევი უნდა ჩაითვალოს „ახალი გახსნის“ მამოძრავებელ ძალად, რადგან ის ჩინეთთან თანამშრომლობას თავისი „მესამე ვექტორის“ პოლიტიკის

ნაწილობრივი განახლების შესაძლებლობად ხედავს. ის ასევე მიზნად ისახავს ჩინური კაპიტალის გამოყენებას, როგორც განვითარების ახალ იმპულსს.

ღირებულ ინფორმაციას გვაწვდიან სერგეი გერასიმჩუკი და იური პოიტა ნაშრომში „უკრაინა-ჩინეთი 2014 წლის შემდეგ: ახალი თავი ურთიერთობაში“. ისინი გვთავაზობენ ჩინეთ-უკრაინის ურთიერთობების მიმოხილვას 2014 წლიდან, რომელიც ახალი ფაზაა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში. გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ღირსების რევოლუციამ, იანუკოვიჩის რეჟიმის დაღუპვამ და რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ შერეული გრძნობები გამოიწვია ჩინეთში. რევოლუციური მოვლენები ჩინეთისთვის აღიქმება, როგორც გარე ჩარევის ინსტრუმენტი, რაც ეწინააღმდეგება მისი საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლურ პრინციპს, რაც გულისხმობს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. თუმცა, იმავე პრინციპიდან გამომდინარე, პეკინმაც ვერ დაუჭირა მხარი რუსეთის ქმედებებს, რომელმაც აჩვენა ღია აგრესია და უგულებელყო საერთაშორისო სამართლის ნორმები და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ყირიმის ანექსირებით და ომის დაწყებით უკრაინის აღმოსავლეთში (Gerasymchuk, Poita, 2018).

თავდაპირველად ჩინეთი ლოდინის პოლიტიკას მიმართავდა, თუმცა შემდეგ შედგა ორმხრივი კონტაქტი უკრაინულ და ჩინურ მხარეს შორის. 2014 წლის ოქტომბერში ერთამანეთს შეხვდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინი და მისი ჩინელი კოლეგა ვანგ ი. 2015 წლის იანვარში გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსა და მთავრობის მეთაურს შორის. როგორც ჩანს, ამ ორმხრივი შეხვედრების დროს მხარეები ერთმანეთს სწავლობდნენ, ყურადღებით აფასებდნენ პარტნიორის თანამშრომლობის პერსპექტივებსა და სანდოობას. მალევე კიევში შეიკრიბა სამთავრობო კომისია სტეპან კუბივის თავჯმდომარეობით. ხოლო 2017 წლის 17 იანვარს, დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ჩინეთ-უკრაინის ურთიერთობებში ,,ყინული ჩატყდა“. შეხვედრისას მხარეებმა გამოიჩინეს ინტერესი დიალოგის უმაღლეს დონეზე გაფართოებისა და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების მიზნით. ისინი ასევე შეთანხმდნენ უკრაინა-ჩინეთის მთავრობათაშორისი კომისიის შემდეგი სხდომის ჩატარებაზე 2017 წლის განმავლობაში და სი ძინპინმა დაადასტურა ჩინეთის მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისადმი. 2017 წელს ჩინეთმა წამოაყენა არაერთი ინიციატივა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების შესახებ. უფრო კონკრეტულად, პეკინი მზად იყო განეხილა უკრაინასთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა შესაბამისი წინადადების მიღების შემთხვევაში. EBRD-ის სპეციალისტები მიიჩნევდენ, რომ ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა სასარგებლო ნაბიჯი იქნება უკრაინისთვის და მისცემს შესაძლებლობას უკრაინული პროდუქციის დიდი მოცულობის ექსპორტზე გატანისა. გარდა ამისა, ჩინურმა მხარემ წამოაყენა წინადადება უკრაინასთან ორმხრივი უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ (Gerasymchuk, Poita, 2018).

აგრეთვე ყურადსაღებია სამხედრო და ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ჩინეთს აქვს ამბიციური გეგმები საკუთარი კოსმოსური პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, სადაც უკრაინა რჩება პერსპექტიულ და და საინტერესო პარტნიორად მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებების პროცესში. ამის დასტურია უკრაინისა და ჩინეთის საჰაერო კოსმოსური დაწესებულებებისა და კომპანიების წარმომადგენლებს შორის

გამართული შეხვედრები, რის შედეგადაც ხელი მოეწერა რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს. ასევე სამხედრო და პოლიტიკური კავშირების განვითარების პერსპექტივიდან მნიშვნელოვანი იყო უკრაინისა და ჩინეთის მთავრობებს შორის თანამშრომლობის კომისიის სამხედრო და ტექნიკური თანამშრომლობის უკრაინულ-ჩინური ქვეკომისიის სხდომა, რომელიც გაიმართა 2016 წლის აგვისტოში პეკინში. ამგვარი სხდომის გამართვის ფაქტმა მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია და დაადასტურა ჩინეთის მთავრობის დაბალანსებული პოზიცია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს ჩინეთის მიერ 2016 წლის 12 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადება. რიგგარეშე სხდომა ყირიმის ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის პროვოკაციას მიეძღვნა.როდესაც რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ცდილობდა დაებრალებინა უკრაინისთვის რუსეთის წინააღმდეგ აგრესია, ჩინეთის წარმომადგენელმა, ელჩმა ლიუ ჯიეიმ განაცხადა: „ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წელს დადგენილ საზღვრებში (доповідь, 2017).
სამხედრო და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საუბრისას, აღსანიშნავია ჩინეთის პრიორიტეტი, როგორც უკრაინის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის საექსპორტო ბაზრის მიმართ. 2017 წლის აგვისტოში გაიმართა მთავრობათაშორისი მეთორმეტე სხდომა, შედგა ჩინეთის სამხედრო და ტექნიკური თანამშრომლობის საკოორდინაციო კომისია (MTC), რომლის დროსაც მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე მდგომარეობა და გამოთქვეს საერთო ინტერესი მისი შემდგომი განვითარებისთვის.

და ბოლოს ავტორები განიხილავენ უკრაინის ჩართვას ჩინეთის გლობალურ და რეგიონულ პროექტებში (ერთი სარტყელი, ერთი გზა და 16+1). ავტორები აცხადებენ, რომ ინიციატივა ერთი სარტყელი, ერთი გზა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი გეოეკონომიკური პროექტი უკრაინისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, არ ეწინააღმდეგება უკრაინის მისწრაფებებს შემდგომი ეკონომიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ ევროკავშირთან და მეორე მხრივ, შეუძლია გააძლიეროს უკრაინის დამსახურება და ზოგადად მას ეკონომიკური განვითარების სტიმული შესთავაზოს. გარდა ამისა, ჩინეთთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციამ ერთი სარტყელი, ერთი გზის ფარგლებში შეიძლება შეამციროს ვაჭრობის მოცულობა და დამოკიდებულება რუსეთზე, რომელიც კვლავ რჩება უკრაინის უდიდეს სავაჭრო პარტნიორად (Гончарук А. З, 2016). რაც შეეხება 16+1 ფორმატი, უნდა აღინიშნოს, რომ ის 2012 წელს ამოქმედდა და ჩინეთის გარდა, მასში შედის ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და ბალკანეთის ქვეყნები (ბულგარეთი, ჩეხეთი, ხორვატია, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბოსნია, მაკედონია, სერბეთი, ჩერნოგორია და ალბანეთი). მისი არსებობის წლების განმავლობაში ფორმატი იღებს ინსტიტუციურ ფორმებსა და ქვეფორმატებს, როგორიცაა ბიზნეს ფორუმი, ტრანსპორტის მინისტრთა საბჭო და ექსპერტთა ქსელი. 16+1 ფორმატში უკრაინას დამკვირვებლის სტატუსის მოპოვება შეუძლია. პრეცედენტი უკვე არსებობს, რადგან ბელორუსიას აქვს ასეთი სტატუსი. ამრიგად, ვინაიდან ეს საკითხი ძირითადად ჩინეთში გადაწყდება, რეკომენდებულია კიევმა, პირველ რიგში, გამოთქვას აზრი თავისუფალი სავაჭრო ზონისა და ვიზის გადამწყვეტ საკითხებზე (Gerasymchuk, Poita, 2018).

რა თქმა უნდა, უკრაინას აქვს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარირებული დონე, რომელიც ამჟამად სრულად არ არის დანერგილი. თუმცა აღსანიშნავია,რომ რუსული ფაქტორი

მაინც რჩება მათ შორის ურთიერთობების განმსაზღვრელი. ერთის მხრივ, ჩინეთი თავს იკავებს შეაფასოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამს საერთაშორისო სამართლის პრინციპების ერთგულებას და ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას. ამასთან პეკინი გამოხატავს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. ჩინეთის საგარეო პოლიტიკის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით (სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა), ასეთი მიდგომა უკრაინისთვის უკვე გამარჯვებაა და ამ მომენტში მეტის მოლოდინი უშედეგო იქნებოდა. სამაგიეროდ, საჭიროა ფოკუსირება ორმხრივი დიალოგის პერსპექტიულ სფეროებზე ეკონომიკური და პოლიტიკური კომპონენტების შემუშავებისას, რამაც ერთობლივად შეიძლება შექმნას სინერგია უკრაინულ-ჩინურ ურთიერთობებში (Gerasymchuk, Poita, 2018).

ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკურ ურთიერთობაზე უფრო დეტალურად საუბრობენ ოლე კრატი, კატერინა პრიახინა და მარინა ბილიკი სტატიაში ,,უკრაინულ-ჩინური თანამშრომლობა: განვითარების პერსპექტივები". ავტორებმა ისტორიულად მიმოიხილეს ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობები. ისინი ხაზს უსვამენ,რომ უპირველეს ყოვლისა, უკრაინას აქვს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობა, რაც მას აქცევს აბრეშუმის გზის ინფრასტრუქტურის ფარგლებში მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ პროექტად, რომლის მიზანია ევროპისა და აზიის უფრო მჭიდრო დაკავშირება. აბრეშუმის გზის ინიციატივა უკრაინას აძლევს ტექნიკურ შესაძლებლობას რუსეთის გვერდის ავლით მისი პროდუქცია გაიტანოს შუა აზიის ქვეყნებში და უფრო მეტიც, უკრაინა საინტერესოა ჩინეთისთვის, როგორც წარმოების ადგილი, ევროკავშირში შემდგომი ექსპორტისთვის. ეს ასპექტი დადებითად მოქმედებს უკრაინა-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. მეორეც, არსებობს მხარეთა ორმხრივი სწრაფვა გაზარდონ ერთმანეთში ვაჭრობის მოცულობა, ასევე მათი მიზანია ეკონომიკის გრძელვადიანი ფორმების განვითარება და თანამშრომლობა. ასევე საინვესტიციო ურთიერთქმედების გაღრმავება უკრაინასა და ჩინეთს შორის. ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება დადებითად აისახება უკრაინის ეკონომიკურ ზრდაზე. მესამე, ჩინეთი დაინტერესებულია ინვესტიციების ჩადებით უკრაინის ეკონომიკაში. მისი განშტოებული სატრანსპორტო სისტემის, ძლიერი სამეცნიერო ბაზებისა და მრეწველობის გათვალისწინებით ჩინეთს სურს წვდომა ევროკავშირის ბაზრებზე. დღეს კი დამატებითი ეკონომიკური სისტემების ბუნება, თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პოტენციალის არსებობა და სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული სექტორები ქმნიან ორმხრივად მომგებიან პირობებს ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის (Kratt, Pryakhina, Bilyk, 2017).

შედეგები/დისკუსია

ჩინეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებებისა და მათ შორის არსებული განსხვავებების სწორად დასანახად საჭიროა ამ ორი ქვეყნის ფაქტობრივი გეოგრაფიული მონაცემების მოხმობა. უკრაინა არის აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე ყოფილი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია კიევი. რაც შეეხება მის სამეზობლოს, აღმოსავლეთითა და ჩრდილო აღმოსავლეთით მას ესაზღვრება რუსეთი, დასავლეთით უნგრეთი და სლოვაკეთი,

სამხრეთ-დასავლეთით რუმინეთი და მოლდოვა, ჩრდილოეთით ბელარუსი. სამხრეთით გასასვლელი აქვს შავ და აზოვის ზღვებზე. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია დავინახოთ რუსეთის ინტერესები უკრაინის მიმართ, მით უმეტეს მაშინ,როცა უკრაინა ფლობს მნიშვნელოვან რესურსებს, მათ შორის ნავსაყუდლებს სამხრეთში,რომლითაც მას შეუძლია აშკარა საფრთხე შეუქმნას,როგორც თურქეთს, ისე ევროპის სახელმწიფოებს. ქვეყნის ფართობით 603 550 კვ. კმ. იგი მსოფლიოში 48-ე ადგილს იკავებს. მოსახლეობის რაოდენობა 2022 წლის მონაცემებით არის 43,215,834, ამ მონაცემებით იგი მსოფლიოში 35-ე ადგილზე იმყოფება (World population rewiev,2022). სახელმწიფო ენა არის უკრაინული, ხოლო ფულადი ერთეული გრივნა. ქვეყნის მოსახლეობის 67% საუბრობს უკრაინულად, 24% რუსულად. მოსახლეობის 77,8% არის უკრაინელი, 17% რუსი, 0,6% ბელარუსი, 0,4% ბულგარელი, 0,3% უნგრელი. რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, 1 ივნისის მონაცემებზე დაყრდნობით ქვეყანა დატოვა 6,983,041 ადამიანმა და იქცა ლტოლვილად(UNHCR,2022). მმართველობის ფორმაა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წლის მონაცემებით შეადგენს 516.68$, რომლითაც მსოფლიოში იკავებს მე-40 ადგილს (CIA, 2022).

რაც შეეხება ჩინეთს, იგი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. მისი დედაქალაქი არის ბეიჯინგი. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველი ძალა ჩინეთის კომუნისტური პარტიაა. უკრაინასა და ჩინეთს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება სწორედ სახელმწიფო წყობაა. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მონღოლეთი და რუსეთი, დასავლეთიდან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი. სამხრეთით ნეპალი, ინდოეთი, ბჰუტანი, მიანმარი, ლაოსი და ვიეტნამი. ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩრდილოეთ კორეა. ჩინეთი არის ტიპური აზიური ქვეყანა,რომელიც გამოირჩევა მისი განვითარების დონით და მეტოქეობით მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახემწიფო- ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ქვეყნის ფართობია 9,600,013 კვ.კმ. ამ მონაცემებით იგი მსოფლიოში მე-10 ადგილს იკავებს. მოსახლეობის რაოდენობა 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 1,448,097,000 ადამიანს,რითაც იგის მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება.(World population rewiev, 2022) სახელმწიფო ენა არის ჩინური, ფულადი ერთეული კი ჩინური იუანი. ჩინეთში გვხვდება 56 განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი. 2021 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის 8.9 % შეადგენს ეთნიკურ უმცირესობას. 2020 წლის მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს $23,009,780,000,000, რომლითაც პირველ ადგილზე იმყოფება მსოფლიოში (CIA, 2022).

ორმა ქვეყანამ დაამყარა ძლიერი სავაჭრო კავშირები 2008 წლიდან (Ramani, 2015). ჩინეთი უკრაინის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი 2019 წლიდან გახდა. 2020 წელს კი სავაჭრო ბრუნვით (15,4 მილიარდი აშშ დოლარი) გადაუსწრო რიგ მნიშვნელოვან ქვეყნებს. უკრაინას ჩინეთში ექსპორტზე გააქვს 7,1 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. თუ 2001 წელს მთლიანი სავაჭრო ბრუნვა იყო უკრაინის მშპ-ს 2%, 2020 წელს გაიზარდა 11%-მდე. ორი ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობდა სამხედრო-ტექნიკური დომენისა და კოსმოსური ინდუსტრიის კუთხით, რამდენიმე ცნობილი ორმხრივი პროექტებით, როგორიც არის ჩინეთის მიერ უკრაინული ავიამზიდი Varyag-ის შეძენა 1998 წელს, რომელიც მოგვიანებით გახდა ჩინეთის პირველი ავიამზიდი (Goncharuk,Hobova, & Kiktenko,2016). 2018 წლისთვის უკრაინამ შეცვალა შეერთებული შტატები, როგორც სიმინდის უმსხვილესი ექსპორტიორი ჩინეთში და დაიწყო ჩინეთის სამხედრო ხომალდებისთვის თანამედროვე რეაქტიული ძრავების მიწოდება. 2016 წლიდან 2021 წლამდე

ჩინეთის ინვესტიცია უკრაინაში 50 მილიონი დოლარიდან 260 მილიონ დოლარამდე გაიზარდა (Ekonomisha Pravda , 2021). მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მცირე წილის მიუხედავად, რომელიც გახლავთ 0.5%, მათი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს ზოგადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას. ძირითადად ჩინური სახელმწიფო კომპანიები ინვესტიციებს უკრაინულ სახელმწიფო კომპანიებში აკეთებენ. სესხებს, როგორც წესი, იძლევიან სახელმწიფო ბანკები. ჩინური კომპანიები ძირითადად უკრაინულებთან მუშაობენ ენერგეტიკის სექტორში და სოფლის მეურნეობაში.

ცხრილი: 1 საკვლევი ქვეყნის გეოეკონომიკური ლანდშაფტის შეფასების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ჩართულობა მსოფლიო ვაჭრობაში	კორუფციის აღქმა	გლობალური კონკურენტ-უნარიანობა	პირდაპირი უცხ. ინვესტიციები	ეკონომიკური თავისუფლება	განათლების დონე	ICT განვითარების ინდექსი	მილიტარიზაციის დონე	მთავრობის ეფექტურობა	რეგულაციის ხარისხი	სავაჭრო ბალანსი
ჩინეთი	4.49 (61-ე ადგილი მსოფლიოში)	45 (66-ე ადგილი მსოფლიოში)	73.90 (28-ე მსოლიოში)	212,475.70	48 (168-ე ადგილი მსოფლიოში)	0.761 (85-ე)	12-ე მსოფლოში	97	0.65	-0,8	$676,430.0 მ
უკრაინა	3,97 (95-ე მსოფლიოში)	32 (122-ე მსოფლიოში)	57 (85-ე მსოფლიოში)	304.00	54.1 (130-ე ადგილი)	0,799 (47)	35,6 (45)	16	0.36	0.30	$ - 5250.29 $

ცხრილი 1: (წყარო: The wold Bank, 2020) (Country Economic Forum, 2021) (World Economic Forum, 2016) (Transparency International,2021) (Schwab, Zahidi,2020) (World bank group, 2020) (The Heritage foundation, 2022) (Human Development Report, 2020) (Dutta,Lanvin, 2021) (Bayer,2021)

მოცემული სტატისტუკური მონაცემებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს,რომ ჩინეთი ბევრად უსწრებს უკრაინას ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებში, როგორიცაა ჩართულობა მსოფლიო ვაჭრობაში, გლობალურ კონკურენტუნარიანობა, მთავრობის ეფექტურობა, განვითარების დონე და ა.შ. თუმცა შეინიშნება რიგი მნიშვნელოვანი მაკომპრომიტირებელი ფაქტები,მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ეკონომიკური თავისუფლება,სადაც უკრაინა 130-ე ადგილს იკავებს და წინ უსწრებს ჩინეთს. ჩინეთი მისი სახელმწიფო წყობიდან და რეგულაციებიდან გამომდინარე ჩათვლილია, როგორც რეპრესიული სახელმწიფო, სადაც არ ეძლევათ ინვესტორებს მეტი თავისუფლება,ხოლო უკრაინა აღქმულია, როგორც უფრო მეტად თავისუფალი სახელმწიფო,თუმცა არ შედის იმ ქვეყნების ჩამონათვალში,სადაც ბიზნესის კეთება არის უსაფრთხო (განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც ამ ასპექტში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ეკონომიკური თავისუფლების მხრივ). მიუხედავად ჩინეთის განვითარების დონისა, სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად ცხადი გახდა, რომ

კორუფციის დონით იგი საკმაოდ წინ იმყოფება და უკრაინას უსწრებს 66 ადგილით და ესეც მაშინ,როცა უკრაინა ცნობილია თავისი კორუფციული მექანიზმით და ე.წ. ოლიგარქებს შორის გავლენების სფეროების გადანაწილებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო წლებში საკმაოდ აქტიური მუშაობა კორუფციის აღმოფხვრის მიზნით. თუ მოცემულ მონაცემებს ერთმანეთს შევადარებთ დავასკვნით,რომ ჩინეთში საკმაოდ რთული სიტუაცია არის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკრაინა არის ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფო,რა თქმა უნდა, ყოველივე ამას აქვს თავისი მიზეზები, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები კორუფციის დონე, მთავრობის არაეფექტურობა და არასტაბილური გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ომმა საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა უკრაინას. მაგალითისთვის, გარდა ადამიანური რესურსებისა, უკრაინას დიდ ტვირთად აწევს მატერიალური რესურსების დანაკარგიც. 2014 წელს დონბასში განხორციელებულმა რუსეთის აგრესიამ აიძულა უკრაინა გაეზარდა ხარჯები სამხედრო შეიარაღებაზე,რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე საკმაოდ უარყოფითად აისახება. ამასთან თუ გავითვალისწინებთ თანამედროვეობას, 2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ასევე კოლოსალური ეკონომიკური ზიანი მიაყენა უკრაინას.

რაც შეეხება ჩინეთს, იგი მსოფლიოში ნომერ მეორე უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და შესაბამისად, ეკონომიკური კუთხით მისი შედარება უკრაინასთან საკმაოდ დიდ განსხვავებას მოგვცემს. ჩინეთთან მიმართებით აღსანიშნავია, აგრეთვე განათლების დონე 47-ე ადგილით, იგი უსწრებს 85-ე ადგილზე მყოფ უკრაინას.

სავაჭრო ბალანსთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას,რომ უკრაინას აქვს უარყოფითი ბალანსი, ხოლო ჩინეთს დადებითი. აქაც განსხვავდება დიდად მონაცემები და ჩინეთი დადებითობის მაჩვენებლით საკმაოდ უსწრებს უკრაინას.
ამგვარად, მთელი რიგი მიზეზების გამო, უკრაინა ეკონომიკურად ბევრად ჩამორჩება ჩინეთს. განსაკუთრებით ეს ეხება პირდაპირ უცხოურ ინვისტიციებს, კონკურენტუნარიანობას, მილიტარიზაციის დონეს, მსოფლიო ვაჭრობაში ჩართულობას და რეგულაციების ხარისხს. თუმცა, უკრაინისთვის დადებით ფაქტორად შეგვიძლია ჩავთვალოთ ეკონომიკური თავისუფლების დონე,სადაც იგი უსწრებს ჩინეთს.

ჩინეთ-უკრაინას შორის თანამშრომლობის პრიორიტეტებს შორისაა სარკინიგზო ტრანზიტი, აეროპორტები, პორტების ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და მუნიციპალური ინჟინერია. შეთანხმების მიხედვით, უკრაინა და ჩინეთი ახორციელებენ საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს,რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავებასა და მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შექმნას ემსახურება(Government Portal UKR/Ministry of Infrastructure of Ukraine,2021).

მათ შორის გეოეკონომიკური ურთიერთობების შეფასების შემდეგ შეგვიძლია გამოვყოთ სარგებელი ორივე ქვეყნისთვის, როგორიცაა ორივე ქვეყნის კომპანიების და ფინანსური ინსტიტუტების წახალისება, რათა აქტიურად ითანამშრომლონ ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაში. ერთობლივი კონსულტაციების შედეგად მხარეები დაამტკიცებენ პერსპექტიულ თანამშრომლობის პროექტებს, რომლებსაც მხარს დაუჭერს PRC დაფინანსება.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, საკმაოდ მნიშნველოვანია ჩინეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მისი ,,სიმპატიები" უკრაინის მიმართ. რამეთუ ჩინეთი საჭირო დახმარებას გაუწევს,რათა უკრაინაში განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის ისინი თანხმდებიან მხარდაჭერაზე ერთობლივი პროექტების განხორციელებაში. რაც უკრაინის ომისშემდგომი აღორძინებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. პროექტებისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისგან შეღავათიანი პირობებით საჭირო სახსრების მოზიდვა დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე,შექმნის სამუშაო ადგილებს. თავის მხრივ, ჩინეთს მიეცემა შესაძლებლობა გავლენის სფეროების გაფართოებისთვის და ევროპაში ფეხის მოკიდებისთვის. უკრაინა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოა საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა.

გეოეკონომიკური ინტერესები რა თქმა უნდა, ორივე სახელმწიფოს გააჩნია. უკრაინაზე საუბრისას შეგვიძლია ვთქვათ,რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი ნაბიჯი, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებს უნდა გადაედგათ ეკონომიკური სიტუაციის შეცვლის, განახლების, სტაბილიზაციისა და განვითარებისთვის, იყო მათი მოდერნიზაცია, რაც ნიშნავს ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლას, რომელიც თავისი არსით გულისხმობდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. თუმცა, ამ ძირითადი პოლიტიკურ-ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას გააჩნდა სხვადასხვა განზომილებები, მათ შორის, მენტალური, კულტურული, ღირებულებითი, სოციალური და ა.შ., რომელთა ერთობლიობამ, დროთა განმავლობაში მოდერნიზაციის განსხვავებული მიმართულებები და კურსი ჩამოაყალიბა. შესაბამისად, უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მძალვრი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებთან თანამშრომლობა,რაც გარანტი იქნება მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა. ეს საკითხი მას შემდეგ გახდა უფრო აქტუალური, რაც უკრაინას დასჭირდა სხვადასხვა ქვეყნებისგან ჰუმანიტარული თუ სხვა სახის დახმარებების მიღება. შესაბამისად ისეთი ძლიერი სახელმწიფო,როგორიც ჩინეთია ერთი მხრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას,როგორც ფინანსური ჰაბი, მეორე მხრივ კი რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი. ჩინეთისთვის მთავარი გეოეკონომიკური ინტერესი და სარგებელია გავლენის სფეროების გავრცობა, მეტი სივრცის შექმნა და მეტი ინვესტიციის ჩადება სხვა სახელმწიფოებთან. როგორც ექსპერტთა დიდი ნაწილი ამბობს, ჩინეთი მოქმედებს მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ის მიდის იქ, სადაც ფულის მიღების შანს დაინახავს და უკრაინა ერთ-ერთი საკმაოდ ხელსაყრელი ვარიანტია. პირველ რიგში იმიტომ,რომ რეგიონში დემოგრაფიულად და ტერიტორიულად ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სახელმწიფოა, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები და განვითარებული აქვს მრეწველობის დარგები. მეორე, უკრაინაში კონცენტრაციით იგი ერთდროულად ევროკავშირთან სიახლოვეს დაიჭერს და სიგნალს მისცემს აშშ-ს რომ უკვე ძალიან ახლოს არის და მეორე მხრივ რუსეთს ფაქტობრივ რკალში მოაქცევს.

მეთოდოლოგია

ნაშრომის წერისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შევისწავლეთ პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები, სტატისტიკური მონაცემები, სახელმწიფო, სამთავრობო ვებ-გვერდებზე დადებული ოფიციალური ინფორმაციები,ხელშეკრულებები და ინტერნეტ წყაროები. ამასთან გამოყენებულ იქნა კონტენტ-

ანალიზი და კოგნიტური კარტირების მეთოდი, სახელმწიფო მოღვაწეების გამოსვლებისა და მოხსენებების საფუძველზე. სტატისტიკურ ინფორმაციებს დავეყრდენით ისეთი მნიშვნელოვანი საიტებიდან,როგორიცაა World Bank, CIA, Country Economic Forum, Transparency International, Human Development Forum და ა.შ. ხოლო ჩინეთ-უკრაინის ეკონომიკური, სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობების შესწავლისთვის გამოვიყენეთ ამ ქვეყნების საელჩოების,ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების გვერდები.

დასკვნა

ჩინეთისა და უკრაინის თანამშრომლობა გეოეკონომიკურ ინტერესებს ეფუძნება. მათ შორის არსებული გეოეკონომიკური ურთიერთობები ასე თუ ისე ითვალისწინებს თანამედროვე საერთაშორისო დღისწესრიგს და ორივე ქვეყნისთვის სარგებლის მომტანია. თანამშრომლობა ემსახურება განვითარებას და კონკრეტული ქვეყნების ინტერესებს. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს განსხვავებული მისწრაფებები აქვს, მაგრამ ეს არ მოახდენს გავლენას შედეგების მატრიცაზე. მეტი ინვესტიცია პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის განვითარებაზე და ქვეყნის განვითარება ეკონომიკურ აღმავლობაზე. ჩინეთს სურს გავლენის სფეროების გავრცობა და მაქსიმალური ინტეგრაცია ევროპაში, უკრაინას კი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება,მათი განვითარების დონის მიღწევა,რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებთან კოოპერაცია. უნდა გავითვალისწინოთ,რომ ჩინეთი უკრაინის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და უკრაინას თუ სურს საბოლოოდ გათავისუფლდეს რუსეთის მარწუხებიდან აუცილებლად უნდა გამოიყენოს ჩინეთის ბაზარი და მისი შესაძლებლობა. კიდევ უფრო გააფართოვოს სავაჭრო კავშირები და გააღრმავოს ურთიერთობები. ამას ემატება ისიც, რომ ჩინეთის რუსეთზე მიმხრობა უარყოფითად აისახება უკრაინის უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ორივე სახელმწიფოსთვის იქნება სასარგებლო ერთმანეთთან თანამშრომლობა, რისი ტენდენციაც არსებობს და დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე სავარაუდოა,რომ კიდევ უფრო გაძლიერდება.

ბიბლიოგრაფია:

1. კვინიკაძე, გ. (2017). გეოეკონომიკის საფუძვლები. თბილისი, საქართველო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. Authors Collegy, China has quadrupled its investment in Ukraine in five years, Ekonomisha Pravda (24 September 2021) Retryeved from https://www.epravda.com.ua/news/2021/09/24/678157/ (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
3. Bayer, M. (2021). GLOBAL MILITARISATION INDEX 2021. Retrieved from https://www.bicc.de/uploads/tx_bicctools/BICC_GMI_2021_EN.pdf (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
4. CIA. (1 June 2022 y.). Ukraine. Retrieved from https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/ukraine/#people-and-society ბოლო ნახვა 01 ივნისი,2022 წ.)
5. CIA. (1 June 2022 y.) China. Retrieved from https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/china/ (ბოლო ნახვა 01 ივნისი 2022 წ)
6. Country economy (2021) trade balance for Ukraine Retrieved from https://countryeconomy.com/trade/balance/ukraine (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
7. Dutta , S., & Lanvin, B. (2021). The Global Innovation Index 2021. Retrieved from https://www.globalinnovationindex.org/userfiles/file/reportpdf/GII2021/GII_2021_results.pdf (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
8. Embassy of Ukraine in the People's Repablic of Chine (26 May,2022)- Political Relations between Ukraine and China. Retrieved from https://china.mfa.gov.ua/en/partnership/political-relations-between-ukraine-and-china (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
9. Gerasymchuk, S., Poita, Y., (2018). Ukraine-China after 2014: a new chapter in the relationship,pp 4-10, Last seen 17 July 2022, Retrieved from: https://library.fes.de/pdf-files/bueros/ukraine/14703.pdf
10. Government Portal UKR/Ministry of Infrastructure of Ukraine (2021) Ukraine and China sign a cooperation agreement in infrastructure development Retrieved from https://www.kmu.gov.ua/en/news/ukrayina-ta-kitaj-pidpisali-ugodu-pro-spivpracyu-u-galuzi-budivnictva-infrastrukturi (ბოლო ნახვა:3 ივნისი,2022 წ)
11. Goncharuk, A., Hobova, E., & Kiktenko, V.(2016). FOREIGN POLICY AUDIT: UKRAINE-CHINA Kyiv: Institute of World Policy https://sinologist.com.ua/en/foreign-policy-audit-ukraine-china/ (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
12. Human Development Report. (2020). Human Development Index (HDI) Ranking. Retrieved from https://hdr.undp.org/en (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
13. Jakóbowski, J., Nieczypor, K., (2021). Under the radar of big politics: cooperation between China and Ukraine. CENTRE FOR EASTERN STUDIES, NUMBER 395, pp 1-7, Last seen 17 July 2022, Retrieved from: https://www.osw.waw.pl/sites/default/files/OSW_Commentary_395.pdf
14. Jun, L. (1995). Historical ties between China and Ukraine and the Chinese workers in Ukraine before the October Revolution]. Seeking Truth (in Chinese). 5: 80–85. Retrieved from https://web.archive.org/web/20220302044105/https://kns.cnki.net/kcms/detail/detail.aspx?dbcode=CJFD&dbname=CJFD9495&filename=QSXK199505017&uniplatform=NZKPT&v=MBUfniP6QnRgM_anWQrX75o8XVWws6I44ifXZwrFlv5VotW2JGGEvJN-5ZXRnIm9 (ბოლო ნახვა 1 ივნისი,2022 წ)
15. Kratt, O., Pryakhina, K., Bilyk, M., (2017). Ukrainian-Chinese collaboration: Prospects of development. SHS Web of Conferences 39, 01014, pp 1-10, Last seen 17 July 2022, Retrieved from: https://www.shs-conferences.org/articles/shsconf/pdf/2017/07/shsconf_ies2017_01014.pdf

16. Matuszak, S., (2010). Yanukovych in China – Chinese investments in Ukraine announced, Last seen 17 July 2022, Retrieved from: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2010-09-09/yanukovych-china-chinese-investments-ukraine-announced
17. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China,(2022), Relations between China and Ukraine https://www.fmprc.gov.cn/web/gjhdq_676201/gj_676203/oz_678770/1206_679786/sbgx_679790/
18. Nichols, M., Pamuk, H., (2022-02-26). "Russia vetoes U.N. Security action on Ukraine as China abstains". Reuters. Retrieved from https://www.reuters.com/world/russia-vetoes-un-security-action-ukraine-china-abstains-2022-02-25/ (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
19. Pitta, Y (2022) The China-Ukraine Partnership: Surviving a Deteriorating Strategic Environment, *nstitut Montaigne*. https://www.institutmontaigne.org/en/blog/china-ukraine-partnership-surviving-deteriorating-strategic-environment (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
20. Ramani, S., (24 July 2015). "Hey, Putin, have you seen how much China is investing in Ukraine?". Retrieved from https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/07/24/hey-putin-have-you-seen-how-much-china-is-investing-in-ukraine/ (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
21. Schwab, K., & Zahidi, S. (2020). The Global Competitiveness Report. Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2020.pdf (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022 წ)
22. The world bank (2020) - Government Effectiveness, compare Ukraine-China. Retrieved from https://govdata360.worldbank.org/indicators/h580f9aa5?country=UKR&indicator=388&countries=CHN&viz=line_chart&years=1996,2020 (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022 წ)
23. The Heritage Foundation. (2022). 2022 Index of Economic Freedom. Retrieved from https://www.heritage.org/index/ranking (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
24. Transparency International. (2021). CORRUPTION PERCEPTIONS INDEX. Retrieved from https://www.transparency.org/en/cpi/2021 (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022 წ)
25. Ukrinform, (2021) China confirms non-recognition of attempted annexation of Crimea and ban on contacts with occupation authorities". Retrieved from https://www.ukrinform.net/rubric-polytics/3228896-china-confirms-nonrecognition-of-attempted-annexation-of-crimea-and-ban-on-contacts-with-occupation-authorities.html (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
26. Ukrinform, (2022), China will never attack Ukraine, ambassador assures, https://www.ukrinform.net/rubric-polytics/3430195-china-will-never-attack-ukraine-ambassador-assures.html (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022)
27. UNHCR. (1 June 2022 y.). Refugees fleeing Ukraine (since 24 February 2022). https://data.unhcr.org/en/situations/ukraine (ბოლო ნახვა: 3 ივნისი,2022 წ).
28. World population rewiev (1 June 2022) Retrieved from https://worldpopulationreview.com/countries/ukraine-population (ბოლოს ნახვა: 3 ივნისი, 2022 წელი)
29. World population rewiev, China. (1 June 2022) Retrieved from https://worldpopulationreview.com/countries/china-population (ბოლო ნახვა: 1 ივნისი,2022 წ)
30. World Economic Forum. (2016). The Global Enabling Trade Report 2016 Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_GETR_2016_report.pdf (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022 წ)

31. World Bank Group. (2020). Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$). Retrieved from https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?name_desc=false (ბოლო ნახვა: 2 ივნისი,2022)
32. Гончарук А. З. (2016). АУДИТ ЗОВНІШНЬОЇ ПОЛІТИКИ: УКРАЇНА-КИТАЙ, ДИСКУСІЙНА ЗАПИСКА. pp 20-23, Last seen: 17 July 2022, Retrieved from: https://sinologist.com.ua/wp-content/uploads/2018/09/Audyt-zovnishnoi-polityky_Ukr_Kytay-_ukr_inet.pdf
33. Доповідь А., (2017). ДАЛЕКОСХІДНИЙ ВЕКТОР ЯК ВАЖЛИВИЙ ЕЛЕМЕНТ ЗОВНІШНЬОЇ ПОЛІТИКИ УКРАЇНИ, НАЦІОНАЛЬНИЙ ІНСТИТУТ СТРАТЕГІЧНИХ ДОСЛІДЖЕНЬ, 6-15 Last seen 17 July 2022, Retrieved from: https://niss.gov.ua/sites/default/files/2017-11/dalekoshid-ec76e.pdf